№ 37 თებერვალი 16, შაბათი — 1891 — თებერვალი 16, შაბათი № 37

# ივერია

გაზეთის ღირს

| თოვე | მანა კ. | თოვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათ დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას ჯუკიაში, ავჭალის ქუჩა, თ. გარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკის სახლებში. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეკი.

1877—1891 სპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი 1877—1891

ქვრივი ელისაბედ გიორგის ასული ნათაძისა აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 თებერვალს, დილის 10 საათზედ, ქაშუეთის ეკლესიაში გარდახდილი იქნება ორმოცის წირვა და პანაშვიდი განსვენებულ მისა ივანეს მის ნათაძის სულის მოსახსენებლად. (3—2)

## ივერია

გამოვა 1891 წელსაც იმავე პროგრამით, როგორც აქამდე.

ვისაც ჰსურს დაიკვეთოს გაზეთი ამ 1891 წლისთვის, მიჰმართოს:

ტფილისში: ა) თითონ რედაქციას, ნიკოლოზის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21; ბ) „ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიას, სასახლის ქუჩაზედ, თავად-აზნაურთა საადგილ-მამულო ბანკის ქარვასლის გალერეაში.

ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

В Тифлисъ. Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ".

რედაქცია ამასთანავე აცხადებს, რომ იგი გაზეთის გაგზავნის გამო პასუხის მგებელ იქნება მარტო იმ ხელის-მომწერთა წინაშე, ვინც გაზეთის დაკვეთისათვის შესახვედრს ფულს პირდაპირ რედაქციაში და ან „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" კანცელარიაში წარმოადგენს, ანუ გამოგზავნის.

გაზეთის ფასი დაბეჭდილია გაზეთის სათაურშივე, ხოლო სრული პირობანი გაზეთის დაკვეთისა გამოცხადებულია უკანასკნელს გვერდზედ.

## ახალი ამბავი

*** ამას წინად გაზეთებში მოხსენებული იყო, რომ მეტეხის ციხეში პატიმრად მყოფმა მღვდელმა სარქის ორბელიანცმა მოიგონა ისეთი იარაღი, რომლის შემწეობით ადვილად შეიძლება კაცი წყალში დაღრჩობისაგან გადარჩენილ იქმნას. მღვდელს ორბელიანცს თხოვნაც მიუცია მთავარ-მართებლის თანაშემწისა და გუბერნატორისათვის, ნება მიბოძეთ ვსცადო ჩემ მიერ მოგონილი იარაღიო, მაგრამ დღემდე პასუხი არ მიუღია არც ერთისაგან. ამიტომ ამ დღეებში მღვდელს ორბელიანცს თხოვნა მიუცია ქალაქის საბჭოსათვის, მეტად დავსუსტდი ამ ბოლო ხანებში და ჩემ მიერ მოგონილ იარაღის უყურადღებობამ ხომ სულ უარესად შემაწუხა და დამაღონაო. გთხოვთ, თქვენის მხრით ორი კაცი დანიშნოთ, ჩვენის მხრივ-კი ბ-ნი ევანგულოვი ამომირჩევია; იმათ გასინჯონ ჩემ მიერ მოგონილი იარაღიო. თუ აღმოჩნდეს ამ იარაღის სარგებლობა, მაშინ ამ იარაღის მოწყობილობის საიდუმლოებასაც გამოვააშკარავებ და ჯილდო თვით საბჭომ გადამიწყვიტოს თავის სურვილისამებრო. ჩემ მიერ მოგონილი იარაღი ორი-სამი მანეთი ეღირება და რამდენსამე წელს იხმარებაო.

*** ჩვენ ქალაქის ქუჩებში ხშირად შეხვდებით ლეკებს—მკალავებს, რომელნიც დადიან და თხოულობენ მოგვცით სპილენძ-ჭურჭელი მოსაკალავადო. მკალავების ამქრების უსტაბაშის თხოვნით ქალაქის სახელოსნო გამგეობას უცნობებია პოლიციისათვის, რომ ზოგიერთი მკალავი ლეკი ამქარში ჩარიცხული არ არის და მოწმობა არა აქვსო. ამიტომ გთხოვთ ამისთანებს ელეკრძალოს სახლებში სიარული და ჭურჭლების მოსაკალავად აღება, რადგან ხშირად ხდება, რომ ჭურჭელი მიაქვთ და პატრონებს აღარ უბრუნებენ, და ამის გამო მკალავებს სახელი გვიტყდება და ნდობას ვკარგავთო. ეს თხოვნა სახელოსნო გამგეობისა პოლიციას შეუწყნარებია.

*** მეორე კლასიკური გიმნაზიის მთავრობამ განიზრახა წელს ფრიად საყურადღებო საქმე, ააგოს რიგიანი საკუთარი შენობა გიმნაზიისთვის. აქამდის მეორე გიმნაზიას საკუთარი სახლი არა ჰქონდა; ნაქირავები ბ-ნ ალელოვისგან შენობა, ჰიგიენის მხრივ შესაფერი არ იყო და ამის გამო დიდ გაჭირვებაში იყვნენ, როგორც მოსწავლენი, აგრეთვე გიმნაზიის მთავრობაც. სახლის უვარგისობას უფრო სხვა დიდი ზარალი მოჰქონდა. სივიწროვის გამო გიმნაზიაში ყველა მსურველს ვერ იღებდენ და ბევრი გულდაწყვეტილი უკან ბრუნდებოდა. ვინ არ იცის, რა თავის მტვრევა და წუხილი არის ხოლმე ქალაქში შემოდგომაზე სასწავლებლების სიმცირის გამო. რაც სასწავლებლებია, იმათ მაინც რომ ფართო და რიგიანი შენობები ჰქონდეთ, შეიძლებოდა ნახევარი მსურველებისა მიეღოთ და სწავლა-განათლების კარები უწყალოდ არ ეხურებოდეს მოზარდ თაობას. აი სწორედ ამ ნაკლის თავიდან აცილება განუზრახავს მეორე გიმნაზიის მთავრობას. ერთგულად შეუდგა საქმეს, დააწესა კომიტეტი, რომელსაც მიანდო ფულის მოგროვება ტფილისში სულ ეს ორი სამი თვეა, რაც კომიტეტი შეუდგა ფულის შეკრეფას და როგორც შევიტყეთ, ეხლა უკვე 16,000 მანეთზე მეტი შეგროვილა. ტფილისის მკვიდრნი თურმე დიდის სიამოვნებით აძლევენ შეწირულებას ამ სასარგებლო საქმისათვის. წახალისებული ამით კომიტეტი წელსავე აპირებს შეიძინოს საჭირო ალაგი და შეუდგეს შენობის აგებას. უეჭველია მთავრობაც დაეხმარება გამგე კომიტეტს ფულით და ერთის წლის განმავლობაში გიმნაზიას ექნება მშვენიერი დიდი სახლი, მოწყობილი ისე, როგორც მოითხოვს მეცნიერება და პედაგოგია. მაშინ მეორე გიმნაზიაშიაც შეიძლება მიიღონ შვიდ-რვაასი შეგირდი, როგორც პირველ გიმნაზიაში, რომელსაც მშვენიერი შენობა აქვს.

სასურველია, რომ ქართველმა საზოგადოებამ ყურადღება მიაქციოს ამ საქმეს, ხელი შეუწყოს გამგე კომიტეტს ფულის დახმარებით და მისცეს მას საშუალება მალე შეასრულოს განზრახული. უეჭველია, ჩვენი მოწოდება არ დარჩება ხმად მღაღადებელისა უდაბნოსა შინა.

*** ჩვენ მივიღეთ მართა ნახუცაროვისაგან შეწირული ბაქრაძის ფონდის სასარგებლოდ 3 მ. ამ ფონდისა აქამდის იყო 1433 მ. და 92 კ.; ამიანად შესდგა 1436 მ. 92 კ.

*** ლეჩხუმი: ჩვენი თავად-აზნაურობა, ისე განცალკევებია და დაჭმორებია ერთმანეთს, რომ ვერც ერთ საერთო საჭირო საქმეების შესახებ ერთად ძმურად და შეერთებულის აზრითა და ძალღონით ვეღარ უმოქმედნია. ყოველ საერთო საქმეში თითქო მტრები არიანო, ისე დასდგომიან ერთმანეთსა. მათი აზრი და მიმართულება ერთი მეორეს ვერ მისდგომია. ამის გამო ყოველი საზოგადო, საერთოდ საზრუნველი საქმე ჩვენში თავ-მინებებული და სამოღვაწო საქმეთა სიაში შეუტანელი რჩება. ყოველ მხრით უკან უკან ვიწევთ და წინ ბიჯი ვერ წაგვიდგამს. ჩვენს თავად-აზნაურობას ისიც ვერ მოუხერხებია, რომ თავისი ერთ-კლასიანი სკოლა გადააკეთოს ორ-კლასიანად მაინც. მთავარი მიზეზი ზემოდ აღნიშნულისა აზრთა შეუთანხმებლობა, განაცალკევება, პარტიობაა. მას შემდეგ რაც სამოსამართლო დაწესებულებანი ცაგერში გადიტანეს, ჩვენი თავად-აზნაურობა გაიყო ორად, გასწყდა ერთობის კავშირი, და მას შემდეგ ვერც ერთს საქმეში ერთმანეთს გვერდში ძმურად ვეღარ ამოსდგომიან. ცაგერის პარტია გაიძახის: თუ ცაგერში გაჰმართავთ სკოლას, ხარჯსაც გავიწერთ და არც არას დავიშურებთ სკოლისათვისაო, და თუ ცაგერში არ იქნა, ისე გროშსაც არ გამოვიმეტებთ მისდა სასარგებლოდაო. ამ ნაირსავე პასუხს იძლევა ლაილაშის მომხრეც: რას ჰქვიან ცაგერში სკოლის გამართვაო: იქ რომ გაიმართოს სკოლა, რა სასარგებლო იქნება, დასახაშმავად და სასიკვდილოდ ვინ შეიყვანს იქ თავის შვილე-

## ფელეტონი

### იმიერ კავკასიაში *)

იმ დროს, როდესაც კავკასიის მთის ჩრდილო კალთები მოწამეთ იყო იმისი, თუ რა გამარჯვებით სძლევდა განათლებული საქრისტიანო სახელმწიფოს მთიულ ამა თუ იმ წვრილ ერსა, ქედის გადაღმა მეორე საქრისტიანო ქვეყანა ილუპებოდა სათათრეთის ძალ-მომრეობით; ამ ქვეყანასა და სათათრეთს შორის იყო გამართული განუწყვეტელი ბრძოლა, გამუდმებული ომი რამდენისამე საუკუნის განმავლობაში. დრო და გარემოება ისტორიისა ისე მოეწყო, რომ ურუსეთოდ მაგ ქვეყანას შველის თავი არა ჰქონდა და ორის საუკუნის განმავლობაში თვალი აწყდებოდა ჩრდილოსაკენ ცქერითა. და აი გულოვიჩის **) დროს, როდესაც სპარსეთმა თავის დაუდეგრობით გამოიწვია დიდი ომიანობა გრაფის ზუბოვისა, კავკასიას იქით თავს-ჩენილს რუსეთისათვის ახალი საომარი მოედანი, რომელიც ადრე, თუ გვიან უნდა დაბოლოვებულიყო მთელ იმ ვრცელის ქვეყნის დამორჩილებით. რუსები იყვნენ სასურველნი სტუმარნი მარტო ამიერ კავკასიის ქრისტიანობისა არა; მათი გადასვლა კავკასიის იქით საუკუნოებით იყო გადაწყვეტილი და წინ განსაზღვრებული. ძველი პოეტური აღმოსავლეთი შეჰყურებდა თოვლიანს, სპეტაკს კავკასს, მის დღეში კაცს ფეხ-დაუკარებელს, როგორც ქვეყნის საღმრთო კიდურსა. იმას იქით ჰსცხოვრებდნენ, აღმოსავლეთის ქვეყნების აზრით, სხვა-და-სხვა კაცთა ნათესავნი, არ მქონენი სახელისა და ისტორიისა. შემდეგში თვით ყორანმა ***) აღნიშნა კავკასი, როგორც სათათრეთის უკანასკნელი ფეხ-მოსაკიდებელი ბინა. ერთ ალაგას იქ სწერია, რომ კავკასს იქით სცხოვრებენ ერნი—გოგისა და მაგოგისაო და რომ—მოვა დრო და ის ერნი გადმოლახავენ კავკასიის მთებს და შემუსრავენ კურთხეულ სათათრეთის სამეფოებსაო.

### საქართველო და მისი ისტორიული წარსული

ბევრი პოეზიაა კავკასის სისხლმჩქეფავ ბრძოლაში. ქართველი თვალ-ცრემლიანი კითხულობს მის ამბავს, ისტორია მისი აღვიწერს საუკუნოთა განმავლობაში მომხდარს უბედურობათა, სამეფოს დანაწილებასა სამეფოებად, მეფეთა და თავადთა ურთიერთ შორის ბრძოლასა, ნათესაობის ამხედრებას ნათესავზედ და მოდგმისას მოდგმაზედ; ერისთავთა ციხე-სიმაგრეთა, როგორც ცარცვა-გლეჯის თავშესაფართა; სასახლეებს მთავრებისას, როგორც ბუდეს თვით-ნებობისა და მტარვალობისას, რომლის წინაშე მუხლს იდრეკდა შეურაცხყოფილი ერი, სამღვდელოება და თვით თავად-აზნაურობა. მარამ საშუალ ამა წყვდიადით მოცულს ვითარებათა, ისტორია საქართველოსი წარმოადგენს რამდენსამე ბრწყინვალე კაბადონებსაც...

პ. იოსელიანი

იმიერ კავკასიის ჩრდილო დასავლეთის კუთხეში ძველადგანვე სცხოვრებდნენ ქრისტეანე ხალხნი, ქართველთ მოდგმისანი, რომელთაც შეადგინეს რამდენიმე დამოკიდებული სახელმწიფო: საქართველოსი (ქართლ-კახეთი), იმერეთისა, სამეგრელოსი და გურიისა. ეს სახელმწიფონი ხან გაერთიანდებოდნენ, ხან განცალკევდებოდნენ ხოლმე. უძლიერესს და შემძლებელს ნაწილს ყოველთვის შეადგენდნენ ქართველები, მცხოვრებნი მტკვრისა და ალაზნის ხეობაზედ. ამისათვის ისტორია საქართველოსი არის მასთანავე ისტორია დანარჩენ ქართველის მოდგმის ხალხისაცა, რომელიც ისტორიულ მწუხარების დროს შეუერთებდა ხოლმე თავის ბედს საქართველოსას და თავის განცალკევებით მშვიდობიანობის დროს (მავ საქართველოს ათას გაჭირებას მიაყენებდა ხოლმე. გარდმოცემანი უძველესის დროისა შთაწერილნი ისტორიაში საქართველოს მეფის ვახტანგ VI-მიერ, განმარტებენ სახელსა და შთამომამომაველობას ქართველის ტომისას ქართლოსის სახელით, ნოეს შვილის შვილის შვილის შვილისათი. (იაფეტიდგან); იმ ქართლოს ერგო ის მიწა-წყალი, რომელიც მიმოირწყვის მტკვრის ტოტებით (бассейнъ) არაგვის შესართავამდე. საყურადღებოა, რომ უცხო ერთა წოდება (Грузія) დღემდე ეხამუხება მთელ ხალხს და თავის თავს ეძახის „ქართველს". როგორც ჰფიქრობენ, მაგ წოდებით (Грузія, грузины) იხსენიებდნენ ქართველებს საშუალო საუკუნოებში არაბები და ოსმალნი, იქნება წმ. გიორგის გამო, რომელსაც ქართველობა მეტის-მეტ პატივსა სცემს დღესაც, ან იქნება იმის გამო, რომ მტკვარს. „ჯურს" (Куръ-ს),—უწოდებდნენ ზოგიერთნი ძველნი ერნი, რისგანაც მთელს ქვეყანას უწოდეს „ჯურჯისტანი", ან გურჯისტანი, რაიცა ჰნიშნავს მტკვრის მხარეს.

ხანგრძლივს ცხოვრებას მრთელის საქართველოსას, და მასთან ყველა ქართველობის მოდგმის ხალხებისას, უწოდებენ მარტიროლოგიას და მისი ისტორია მიაჩნიათ ტანჯვა-ვაების ისტორიად. მეორე უკეთესის სახელის მოგონება არც-კი შეიძლება მაგ ცხოვრებისათვის. მას აქეთ, რაც ისტორიამ აღნიშნა საქართველოს ქვეყანა, იგი არის კერა, მომზიდავი სხვა-და-სხვა ხალხებისა, მომავალთა მისკენ ჩრდილოდგანაც, აღმოსავლეთიდგანაც და შორეულ დასავლეთიდგანაც. ყველა ამ ხალხმა ყოფნა თვისი ამ ქვეყანაში ისე არ გაატარეს, რომ

*) იხ. Кавказ. война პირველ ტომის 205—212 გვ. ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია ზოგიერთი ამისთანა ნაწერებიც ჩვენს შესახებ გავაცნოთ მკითხველებს.

**) გუდოვიჩზედ მერე გვექნება ლაპარაკი.

***) თათართა სარწმუნოებრივ სჯულთა კრებულ.

ბხაო და სხვ. რა გამოდის ყველა აქედამ? ის რომ ამ ნაირის კინკლაობის მეოხებით ვერც ერთ ადგილზედ ვერა გაგვიკეთებია-რა და ჩვენს შვილებს, ჩვენს მომავალს თაობას-კი ეკარგება დრო სწავლის შეძენისა და გვირჩებიან სრულიად უსწავლელნი და უმეცარნი. თუ არ ამ გვარი უაზრო პარტიობის მიზეზით, ისე რად უნდა გაუჭირდეს ჩვენს თავად-აზნაურობას, თუ მეტი არა, ორ-კლასიანის სასწავლებლის გამართვა და შენახვა მაინც, როდესაც ამისთანა საქმე არ უძნელდებათ თითო სამამასახლისოს სოფლებს. მაგრამ არა. ყოველის მხრით ჩვენის მაზრის უკან დამწევი და დამჩაგვრელი შეიქნა ეგ რაღაც შეჩვენებული პარტიობა და პირადის ანგარიშების მიდევნა. ამას წინად ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს ის ამბავი, რომ ჩვენის მაზრის ოლქის სამღვდელოებას ჰსურდა შემოერთებოდა თავად აზნაურობას და შეერთებულის ხარჯით დაეარსებინათ სამ-კლასიანი სასწავლებელი. მკითხველს ეხსომება ისიც, რომ საერო სკოლების დირექტორმა ამ გვარის სკოლის დაარსება შესაძლოდ აღიარა. სამღვდელოებამ უკვე გაჰგზავნა ამ საგანზედ თავისი წარმომადგენელი გურია-სამეგრელოს ეპისკოპოსთან სათხოვნელად, მაგრამ სამწუხაროდ მღვდელთ-მთავარს, როგორც ხმა ისმის, შესაძლოდ არ დაუნახავს სამღვდელოების შეერთება თავად-აზნაურობასთან სკოლის საქმეში და უარი უთქვამს. ესეც ერთად-ერთი იმედი ჩვენის სკოლის წარმატებისა და გზაზედ დაყენებისა გამოგვეცალა ხელიდამ.

⁂ ქუთაისი: ამ ბოლოს დროს, ცოტა არ იყოს, გათამამდნენ ქუთათური ქურდები და ავაზაკები. კვირა არ გაივლის ისე, რომ ან კაცი არ მოჰკლან, ან არ გაცარცვ-გაჰკლიჯონ. ამას წინად კაცი მოჰკლა შუადღისას ვიღაც თავზედ ხელ-აღებულმა ავაზაკმა და ისე გაჰქრა, რომ პოლიციამ თვალი ვერ მოჰკრა. ჩხუბი, დავიდარაბა და ყალ-მაღალი დღისით და ღამით ხომ ვინ მოსთვლის რამდენია ჩვენს კურთხეულს ქალაქში. არ ვიცით, ამისთანა ყოფაში ან-კი როგორა გვაქვს გული გულის ალაგას.

⁂ ქვედა-აჭარა: აქამდე ქვედა-აჭარაში მშვენიერი დარები იდგა, კაცს ეგონებოდა გაზაფხულიაო. სამწუხაროდ ესეთს კარგს დარებს მოჰყვა სხვა-და-სხვა ავადმყოფობა, უფრო კი გაციებით ავად გახდომა. უცებ თავი ასტკივა კაცს, გააციებს და მერე მისცემს ისეთს სიცხეს, რომ ძლივს უძლებს კაცი. რამდენიმე კიდეც იმსხვერპლა ამ ავადმყოფობამ. მეტადრე ღარიბი, ფუხარა ხალხია გაჭირვებაში. მკურნალს ის ვერ მოიყვანს ბათუმიდამ და ფერშალს, რომ ავადმყოფს უშველოს. 9 თებერვალს აქეთ უცებ დიდი თოვლი მოვიდა და დიდი სიცივეებიც დაიჭირა. იქნება ამ სიცივეების გამო ისევ სალიანობა ჩამოვარდეს.

⁂ 14 ამ თვისას, დილის 11 საათზე მკურნალის სულხანოვის მოახლემ რაჭის მაზრის სოფ. მუხლის მცხოვრებელმა ხუსანა გოცირიძემ გამოაცხადა, რომ ყუთიდგან 65 მანეთად ღირებული ვერცხლის ქამარი მომპარესო. ეჭვი იქვე მზარეულად მყოფს სულხანოვსა და ხელზე მოსამსახურეთ, შაშკეთის მცხოვრებელ გრიგოლსა და თედო კალმახელიძეზე გამოაცხადა, რომელნიც შეიპყრეს და პასუხის გებაში მისცეს.

⁂ ამავე დღეს მაღათოვის კუნძულზე მცხოვრებელმა საანა მუსაილოვმა გამოაცხადა კიდევ, რომ სოფ. შამლის მცხოვრებელმა შოშია გოჩლიძემ 10 მანეთად ღირებული პალტო მომპარაო. ქურდი შეიპყრეს.

⁂ 13 ამ თვისას ღამით ახალ-ბებუთოვის ქუჩაზე ელემირზოვის სახლში ყაზახ რუსს სადგური გაუტეხეს და მოჰპარეს 26 მანეთად ღირებული ნივთეულობა. ეჭვი პატრონმა გამოაცხადა მზარეულს მიხეილ გიორგობიანზე.

⁂ ამავე დღეს რიყეზე თადეოზ კოლაძის დუქანში სოფ. გომეცარის მცხოვრებელს გლეხს გიკო ბაიაშვილს მოჰპარეს ფულად 79 მანეთი. ქურდობა დუქნის პატრონსვე ბრალდება.

⁂ თებერვლის 13 და 14 მთაწმინდაში პოდპოლკოვნიკს ჩევკლიანსკის მასთან მოსამსახურედ მყოფმა ჯარის-კაცმა ფილკოვსკიმ მოჰპარა 70 მანეთი, დამნაშავე შეიპყრეს.

⁂ ამ თვის 14 პოლიციის მეშვიდე ნაწილში, ტფილისის მცხოვრებლის ცოლმა ელისაბედ გეურქოვისამ ჭკუა შეშლილობის გამო დანა დაიცა ყელში და მსუბუქად დაშავდა. დაშავებული სამკურნალოში გაჰგზავნეს.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი)

გურია. ერთობ გულის წადილის ამყოლი, თავ-აშვებული, თვით-ნება და ახირებული მოარშიყე-მოტრფიალეა ზოგიერთი ახალგაზდა კაცი. „იმრუშე და ყოველთვის გული გითქმიდეს ცოლისათვის მოყვარისა შენისაო", ეს არის მისი მცნება და არავითარს ღონისძიებას არ ჰზოგავს, ოღონდ თავისი სურვილი დააკმაყოფილოს; თუ მოქნილის, მაცდუნებელის ენა-მჭევრობითა, ხერხითა და სიჟერაგით ვერა გააწყო-რა, ვერ მოჰხიბლა, ვერ მოინადირა პატიოსანის, სახელ-გაუტეხელის მანდილოსანის გული და ვერ გადაახვევინა წმინდა ზნეობას, მზად არის ბარბაროსულად, ნადირთ-მყოფ ადამიანივით მოიქცეს.

გურიის ერთს მივარდნილსა და საკმაოდ განმარტოებულს სოფელში, 3 თებერვალს, ღამით მივიდა ერთის კაცისას ამავე სოფლის ორი ახალგაზდა ბიჭი, როცა ოჯახის პატრონი სხვაგან იყო წასული და ცოლი პატარა ბავშვისამარა ათევდა ღამეს. ერთი მისულთაგანი კარებთან აიტუზა, მეორე შევარდა სახლში. ქალმა, მოუწვევარი, მოულოდნელი და უსიამოვნო სტუმარი რომ დაინახა, გაცბა. როცა წინადადება მოისმინა, თეთრი კბილი არ უჩვენა, პირ-ქუშად, ზიზღით შეჰხედა და მკვახედ უთხრა: საიდგანაც მოსულხარ, იქ წადი, ახლავე მომშორდიო.

ხვეწნა-მუდარით რომ ვერას გახდა, ვერ დაიყოლია ნებაზედ, უარ-ყოფილმა და გაკიცხულმა არშიყმა ლაპარაკს კილო გამოცვალა, განრისხდა, გასაშიშრდა, ხანჯალს გაიკრა ხელი, იშიშვლა და უთხრა: „ეს არის მოგკალი და მოგისპე სიცოცხლეო".

შეშინებულმა და შეშფოთებულმა ქალმა გააბა „ცივის ხმით" კივილი. ეზოში მდგმურ ნათესავებს არ სძინებოდათ, მაშინვე მოსცეს ხმა და მოაირბინეს. მომხდურები მიხვდნენ კარგი დღე არ გვადგებაო და იკადრეს გაქცევა. ვინც ბრძანდებოდნენ, იცნეს. ქალი ხანჯლით არის დაჭრილი ორთავ ხელში. ფეხ-მძიმედ არის, „თთვეში ფეხ-ჩამდგარია" ადამიანი. თუმცა ჭრილობა მაინცადამაინც მძიმედ საშიში არ არის, მაგრამ შიშმა და აღელვებამ ცუდად იმოქმედა, ავად გაჰხადა ქალი. მეორე დღეს ოქმი შეადგინეს და დამნაშავენი პასუხის გებაში მისცეს. გამოძიება სწარმოებს.

ზოგ სოფლებში სახადი და ყვავილი გაჩნდა, მაგრამ „წამალი არსით არის", სახადით ავადმყოფების უმრავლესობა ბედის ანაბარად არის დატოვებული. ამ სენმა ჯერ-ჯერობით რამდენიმე ადამიანი ჩაიტანა სამარეში და აწიც, ვინ იცის, რამდენს მოუსწრაფებს სიცოცხლეს და მიიყვანს საფლავის კარებამდის. სამწუხარო და სავალალოა, მაგრამ რას იზამ. ღარიბ-ღატაკი და ხელ-მოკლე ხალხი, არა თუ ასეთს საძაგელს ამინდებში, როგორც ეხლაა ჩვენში, კარგს ამინდშიაც ვერ ახერხებს მკურნალის მოყვანას შეუძლებლობის გამო; ამიტომ უმეტეს ნაწილად ჩვენის გულშემატკივარის ჭირისუფალის შველა-მოხმარება და მზრუნველობა ავადმყოფისათვის ამ სიტყვებით დასრულდება ხოლმე: „თუ ღმერთი,—დაილოცა მისი დიდება, შენაცვალე იმის სახელს,—თვალებს არ დამიფსებს, არ წამართმევს ჩემს უნდოშს, ხომ კარგი, თუ არა და თავს ხომ ვერ მოვიკლავ, ღვთის ნებაა, რაც დამემართება, „დოხტურის" მოყვანა და წამლობა სად შემიძლია, ვისა აქვს აჯა"!

რაღა მკურნალი, ისეთის უბრალო კაცის დროიანად შეგნება, როგორიცაა ყვავილის ამცრელი, არ არის ადვილი. ეს შეიძლება იმას მიეწეროს, რომ ამცრელების რიცხვი ცოტაა ჩვენში. ხუთის წლის წინად მაზრის უფროსის მოწერილობის ძალით, ოზურგეთის მაზრის ყველა სოფლის საზოგადოებაში, განაჩენის დადგენით, ამოირჩიეს ორ-ორი კეთილსაიმედო კაცი და „ვაქცინატორების" სახელით მონათლეს; რამდენსამე კვირას ასწავლეს ყვავილის წესიერად აცრის საქმე, დაურიგეს დავთრები და დაავალეს იარეთ მინდობილ სოფლებში, აუცრეთ ხალხს ყვავილიო. მაზრის მკურნალი ხანდახან დაიბარებდა ხოლმე, დარიგებას აძლევდა და ათვალიერებდა დავთრებს. ამორჩეულების შრომა იმითი ჯილდოვდებოდა, რომ სახაზინო პალატამ ისინი გაანთავისუფლა სათემო და საკომლო გადასახადისაგან. მაგრამ ორის წლის შემდეგ ისინი ისევ ჩასწერეს ხარჯის მძლეველთ სიაში და აცრაც აღუკრძალეს. მას შემდეგ მთელს მაზრაში ამცრელად ითვლება ორი ვაქცინატორი. სადაც ყვავილი გაჩნდა, კაი ხანია მოითხოვეს ამცრელი, გაიძახიან „მოვა, მოვა ამცრელიო", მაგრამ არა ჩანს. სანამ გახშირდებოდეს, მანამ მოვიდეს ისაა საქმე, თორემ რომ გავრცელდება, შესაძლოა ისეთს მოუწიოს აცრამ, რომელსაც ყვავილი უკვე ტანში უდგას და ასეთი საშუალება, მოგეხსენებათ, თუ არ საზარალო, სასარგებლო ხომ აღარ იქმნება.

თეოფანე კალანდარიშვილი

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

გუშინ-წინ ჩვენს ნარკვევში გაზ. „Новости"-დგან მოყვანილი გვქონდა ორიოდე ადგილი ოთხმოცდა-თორმეტის წლის მოხუცის წერილიდგან, რომელიც დაბეჭდილი ყოფილა „Москов. Вѣд."-ში აი ეხლა ამ წერილის შესახებ რასა სწერს რუსეთის ერთი საუკეთესო გაზეთთაგანი, «Русскія Вѣдомости»:

დავსვრიტოთ თუ არ დავსვრიტოთ ყველა ის ქართველი, რომელსაც განათლება „ევროპის", ესე იგი ჩვენს თანა მედროვე სასწავლებლებში მიუღია, — აი ყოვლად მოულოდნელი და მკაცრი საკითხი, რომელიც დღეს წინ წამოაყენა „Моск. Вѣд."-ებმა. ეს სიტყვები ეკუთვნის 92 წლის ქართველს გულბაათს, რომელმაც თავის თანა მემამულეთა «დაფარვა და დაცვა» მოინდომა ბ ნ ჩინგის-ხანის

---

არა შეემუსრათ-რა. ქართლის მოტიტვლებულ გორებზე და კახეთ-იმერეთის აყვავებულს მცენარეობაში დღემდე ყველგან მოსჩანს ძველის ციხე-კოშკების ნანგრევნი უზარ-მაზარ და მცირე შენობათა, სადაც ხალხი შეაფარებდა ხოლმე თავს მტრის შემოსევის დროს. მთელს ქვეყნიერობაზედ არც ერთი მხარე არ მოიძებნება, სადაც ამოდენა უტყვი მოწამენი ერის ტანჯვა-ვაებისა მოიპოვებოდეს. იმ დროს, როდესაც კავკასიის მიუწყებულ და თვით ბუნებისაგან კარდახშულ ხეობებში ველურდებოდა და თან ღონიერდებოდა ცხოვრება ქვეყნიერების უცნობ მოდგმის ხალხთა, სამხრეთის მხრივ მთის ქედის დაქანებაზედ ძველი ივერია 14 საუკუნის განმავლობაში იცავდა ნათელს ქრისტეანობისას და განათლების უმთავრესს საფუძველს თათართა და კერპთაყვანის მცემელთა საზარელ შემოსევისაგან.

საქართველოს ისტორია ისე ძველია, რომ აღმოსავლეთის უძველესი დროებაც-კი ახსოვს, და მოწამეა იმისი თუ როგორ შეიმუსრა გვარში უფროს მამასახლისის უფლებასთან ერთად ბატონობა პატრიარქალურის ყოფა-ცხოვრებისა. ხალხთა დიდი აყრა-დაყრის ჟამს აზიაში საქართველო ჰკარგავს თვით არსებობას და ხან ასურელთა, ხან ბაბილოველთა და ხან სპარსთა მორჩილებაშია. სპარსთა მეფეთა წინამძღოლობით ქართველთა ერი დაწნულის ფარით და ხის ჩაფხუტით ეომებოდა ბერძნებს, სკვითებს და იძენდა სხვის სწავლას და ზნე-ჩვეულებასა. ამავე დროს ახლო მდებარე კავკასიის მთის სიმაგრენი მოიზიდავდნენ საქართველოში უცხო ტომის ხალხთა, ლტოლვილთა ქვეყნის დამპყრობელების ჯარის კაცთაგან; ბერძნები მიმოვლენ ოქროს მატყლთავანის ვერძისათვის და ეს საერთა-შორისო მიმოსვლა ამზადებს საქართველოში განათლების პირველს ნერგს.

ალექსანდრე მაკედონელი, როგორც ამბობენ, ცდილობს მოსპობას საქართველოს თვით არსებობის, გინა თავისუფლობის ნიშან-წყლისას, აწესებს იქ, მამასახლისის მაგიერ, თავის მოადგილეს ჯარითურთ. მაგრამ ამისთანა ვითარებათა გამო საქართველოში მოხდება აჯანყება თავისუფლობის მოპოვებისათვის. წინამძღოლობით ფარნაოზისა, უკანასკნელის მამასახლისის შთამომავალისა, ქართველნი გააძევებენ მაკედონელის მოადგილეს და ამ ქვეყანაში ფუძნდება დრო მეფეებისა. პირველ მეფედაც ფარნაოზი იყო, 300 წელზე უფრო წინად ქრისტეს შობამდე.

მატიანენი მაწერენ ფარნაოზს სამოქალაქო ყოფა-ცხოვრების მოწყობას საქართველოში, შემოღებას მწიგნობრობისას და ზოროასტრის სარწმუნოების დაწესებას სამეფოში. გარდმოცემა მოგვითხრობს, რომ ქართველთ მამათ მთავრის ქართლოსის საფლავზედ ფარნაოზმა აღმართა ძეგლი კერპის არმაზისა, შემოსილი დიდ მშვენიერ საომარ იარაღით ოქროს ჩაჩქანით და ძვირფას ქვებით მოჭედილ გვირგვინით. შემდეგის საუკუნოების სიბნელეში, როდესაც ზედიზედ გაისმოდა ხმა ბრძოლისა სომხეთთან და სხვა მეზობლებთან, ჰბჟუტავს რამდენიმე სასიქადულო სახელი, რომელთაგან ერთი, მეფის ადერკისა, შესანიშნავია მით, რომ მესამე წელიწადს მისის მეფობისას იშვა მაცხოვარი სოფლისა. იმის დროს ეკუთვნის გულის მომლბობ მოთხრობაც კვართისათვის უფლისა. იგი მოთხრობა გვიამბობს, რომ ბაბილონის ტყვეობიდანვე დასახლებული ურიები ივერიის სატახტო ქალაქს მცხეთაში ყოველ წლობით ჰგზავნიდნენ იერუსალიმს პასექზედ თავის წარმომადგენლებს, რომელთ შემწეობით ამბავი მაცხოვრის სასწაულებისა სწრაფად ვრცელდებოდა ივერიაში. ქრისტეს ჯვარცმის დროს გაგზავნილებში ერია ვინმე ელიაზარი (ელიოზი), შვილი კეთილ-მსახურის სახლობისა. იგი დაესწრო გოლგოთაზედ მომხდარ საქმეებს, გაკვირებული იყო ნახულ ნასმენით და მოიპოვა რომაელის მხედრისაგან კვართი უფლისა, რომელიც წილში ჰრგებოდა. როცა სამშობლოში დაბრუნდა, —ერთთა თქმით—ქალმა, ხოლო მეორეთა თქმით—მისმა დამ, ზარ-დაცემულმა მაცხოვრის ჯვარ-ცმის ამბავით, ჩაიკრა გულში კვართი და იქვე უსულოდ დაეცა. ვერა კაცის ძალამ ვერ შესძლო საღმრთო სამოსელის გამოცლა მიცვალებულის ხელიდამ. კვართი თან ჩაჰყვა მიცვალებულს საფლავში. მაღალი კვიპაროსი აღმოსცენდა მის საფლავზედ და დიდის ხნობით დაჰფარა წმიდა ადგილი კაცთა ძიებისაგან.

არ გავიდა დიდი ხანი, რომ ქრისტე მაცხოვარზედ ქადაგება კავკასიას მოჰფინეს მოციქულებმა—ანდრიამ და სიმონ კანანელმა; ამ უკანასკნელის საფლავის შესახებ გარდმოცემა დღესაც გვაჩვენებს ანაკოფიაში, რომელიც იმავე თავით თაყვანის საცემელი საგანი იყო თვით კავკასიის ველურ მკვიდრთათვისაც. მაგრამ სრული დამყარება ქრისტიანობისა საქართველოში მოხდა მოციქულთა სწორის ნინას მიერ.

წმ. ნინა იყო ასული რომის სარდლისა და დისწული იერუსალიმის პატრიარქისა; იგი ახლო ნათესავად ხვდებოდა მთავარ მოწამე გიორგის, რომელიც შეათვისა საქართველოს და რომლის მფარველობასაც ჩააბარა თავისი ახალი სამშობლო. წმიდა გიორგიმაც შთაჰბერა სამხედრო ძალი და მოწამეობის თვისებანი მთელს ერს, რომელსაც ეწოდა სახელი ამა თავის მფარველისა—გეორგიანნი. ნინას პატარაობითვე უყვარდა მოთხრობანი შორეულ ივერიის შესახებ, იმ ივერიისა, სადაც იყო წალებული კვართი უფლისა და აზრმა საქართველოს განმანათლებლობისამ და წმიდა სამოსის მოძიებისამ მთლად შეიპყრო მისი სული და გული. დღე-ღამ ნინა ევედრებოდა ყოვლად წმიდა ქალწულსა და სთხოვდა შემწეობასა. ღვთისმშობელი გამოეცხადა ძილში, ჩააბარა ჯვარი

იმავ გაზეთში დაბეჭდილ წერილისაგან: „ქართველები და სომხები ამიერკავკასიისა“. კარგი, მაგრამ ამ დაცვა-დაფარვის დროს ბ-ნმა გულბაათმა წრეს ძალიან გადააბიჯა. იგი ამბობს, რომ „ჩემს ხანში მეოფ კაცისათვის უთველივე შრომა ძნელად ასატანიაო“. მაგრამ, ამ ნათქვამის მიუხედავად შრომას ხელსა ჰკიდებს და განუზრახავს გაანამტვეროს „ევროპა“ და „ევროპულად განათლებული“ ქართველები, მერე ისე სასტიკად და შეუბრალებლად, რომ თვით ბ-ნ ჩიჩგიზხანსაც-კი შური დაებადება, ეს ქართველთა დომოსტროი საუნივერსიტეტო გაზეთის ფურცლებზედ ქებას დიდებას ასხამს ძველს ქართველს, ე. ი. „აზიურს“ ზნე-ჩვეულებას და სხვათა შორის თავისის სიყმაწვილის შესახებ აი რას მოგვითხრობს.

„მე მახსოვსო, ამბობს იგი: რომ, მაშინაც-კი, როცა წარმოსადეგი ჭაბუკი ვიყავი, მამაჩემისა და იმის მეგობრების ლაპარაკში ვერ გავერეოდი, თუ ადრევე ნება-რთვა არ მეთხოვნა. როცა ნებას დამრთავდნენ, წავდგებოდი, დიდის კრძალვითა და მორიდებით ვიტყოდი ხოლმე, რასაც ვფიქრობდი, და როცა მამაჩემი მანიშნებდა, კვლავ დავჯდებოდი ხოლმე“.

მაგრამ წავიდა მამა-პაპური ძველი კეთილი დრო, სამწუხაროდ, საქართველოშიო, ამბობს იგი. ბ-ნ გულბაათს ზვენიგოროდის მაზრიდგან თვალ-ყური უდევნებია და შეუნიშნავს, რომ თანამედროვე ქართველმა ყმაწვილ-კაცობამ დაივიწყა და უთველივე ფეხ-ქვეშ ტალახში გათელა „სამართლის სიყვარულიდგან“ დაწყებული „სამშობლო ზნე-ჩვეულებათა, პოეტთა, მუსიკასა და ისტორიამდე“. ულმობელად ჰკიცხავს ბ-ნი გულბაათი აწინდელს მცირე გუნდს ქართველ განათლებულ ყმაწვილ-კაცობისას და არაფერს იშურებს, მრავალს ფერადსა ჰხმარობს, რომ რაც შეიძლება შესაზიზღარად, არა-მოსაწონად დახატოს.

ამას შემდეგ „Русск. Вѣд.“-ს მოჰყავს სწორედ ის ადგილი, რომელიც გუშინ-წინ ჩვენცა გვქონდა ჩვენს ნარკვევში მოყვანილი, და თავის მხრივ დასძენს, რომ

ამას პატივცემული პუბლიცისტი „მეცხრამეტე საუკუნის დამლევისა“ ზედ ურთავს ანეგდოტს ერთის გამწყრალ მშობლისას, რომელსაც თავისი ვაჟიშვილი თოფით მოუკლავს ნადიმის დროს ღვთის წინააღმდეგის ლაპარაკისათვის და ჰკითხულობს: ახლა რას იტყვით, ქართველ—მამებმა, „აზიურად“ განათლებულებმა, თავისი „ევროპიულად“ განათლებულებული შვილები თოფით უნდა დახვრიტონ და დაჰხოცონ, თუ შეაბრალონო? სამწუხაროდ პატივ-ცემული კორესპონდენტი „Моск. Вѣд.“-ისა ამ საკუ რადღებო საკითხზედ, ფრიად გაურკვეველსა და ბუნდს პასუხს იძლევა: „რასაკვირველია, შეიძლება დახვრიტონ, მაგრამ სასურველი-კიაო“!? იმედი უნდა გვქონდეს, რომ „Моск. Вѣд.“-ი ეცდება რაც შეიძლება დაამკვიდროს საზოგადოებაში განონიერად აღძრული ცნობის-მოყვარეობა, რომელიც მანვე გამოიწვია «მამისა და შვილის ერთმანეთობის» შესახებ ასე „აზიურად“ ლაპარაკით.

ვნახოთ ახლა ჩინგიზ-ხანისა და გულბაათის წერილს შემდეგ რომელი ხანისა და რომელ მაზრეულ გულბაათის წერილი დაიბეჭდება იმავ გაზ. «Моск. Вѣд.»-ში ამ საგნის გამოსარკვევად.

◆◆

## რუსეთი

ამას წინად სარატოვში ერთი ახალგაზდა მომღერალი გვარად ოლხინი გარდაიცვალა, რომლის სახელი არა თუ ამ ქალაქს გარედ არსად არ იცოდნენ, ჰრამედ თვით სარატოვშიაც არ იცნობდნენ დიდებულ კაცად, რადგანაც განსვენებული ამ ქალაქში მხოლოდ $3^1/_2$ თვეს დარჩა. მაგრამ მიუხედავად ამისა არტისტის მოულოდნელმა სიკვდილმა მოულოდნელი შთაბეჭდილება მოახდინა მთელს ქალაქში. როგორც „Саратов. Лист.“-ი მოგვითხრობს განსვენებულს მომღერალს ისეთი თაყვანის მცემლები თურმე ჰყავდა, რომელნიც ამ დანაკლისის გამო თავ დაიწყებით სტიროდნენ, ჰგოდებდნენ, თავში ხელს იცემდნენ და გული მისდიოდათ. ერთი პატივცემული მანდილოსანი, წვრილი შვილებისა და ქმრის პატრონი, ისე გატაცებით, ისე თავ-დავიწყებით სტიროდა, რომ გეგონებოდათ ქმარს ანუ ღვიძლს შვილს გამოესალმაო. ერთი ახალგაზდა ქალი ცრემლთა ფრქვევით და გულის წუხილით ეუბნებოდა თავის მეგობარს, რომ თავის დღეში არ დამავიწყდება ის ბედნიერი დღე, როცა მე და განსვენებულს ამა და ამ ქუჩაზედ ერთად მოგვიხდა სეირნობაო. მეორე ადგილობრივი გაზეთი „Сарат. Дневн.“-ი ამბობს, რომ თაყვანის-მცემელნი და მამლმერთებელნი ოლხინისა ჯერ კიდევ მდუღარე ცრემლს აფრქვევენ და გულ-ამოსკვნით სტირიან. ერთმა ქალმა სამგლოვიარო ძაძა-ფლისით მორთო და გადაწყვეტილი აქვს ეს სამგლოვიარო ტანისამოსი ოლხინის სახსოვრად ექვს კვირას ატაროს. მეორე ქალი სამხატვრო მუზეის ათვალიერებდა და საუბედუროდ ოლხინის სურათი დაინახა; მაშინვე გული აუჩუყდა, თვალთა ცრემლი მოედინა და გადაიქცა. როცა მოაბრუნეს და გრძნობაზე მოიყვანეს, ჩამოიღო ოლხინის სურათი, მიიკრა გულ-მკერდზე და საცოდავის ხმით წარმოსთქვა: „წაიღეთ ჩემგან, რაც გინდათ, წამართვით ყველაფერი, მომისპეთ, თუ გინდათ, სიცოცხლეც, ხოლო ეს სურათი-კი მე დამრჩესო.“ რასაკვირველია, მუზეიდგან სურათის წაღება არ შეიძლებოდა და ამის გამო ამ უსაფუძვლო თხოვნაზე ამ მეტის-მეტად გრძნობიერს მანდილოსანს საფუძვლიანი უარი უთხრეს. მაგრამ ქალმა უარი გაიგონა თუ არა მოჰკურცხლა. გამოუდგნენ, დაეწივნენ კიდეც, ხოლო სურათი ძვრაეითარის ღონის-ძიებით ძლივს წაართვეს. მესამე მანდილოსანმა, რომელსაც ამ სამწუხარო დრომდე ყველა ღირსეულ დედაკაცად სცნობდა, წავიდა და ოლხინის ნათესავებს ტირილით და ცრემლით სთხოვა, განსვენებულის ცხვირსახოცი მიბოძეთ იმის სახსოვრადაო.

— დერპტში ერთი საქველ-მოქმედო საზოგადოება შესდგა, რომელმაც უსუსურ ბავშვთა თავ-შესაფარი ააშენა, ისეთ ბავშვთათვის, რომელნიც მშობელთა სამუშაოზე წასვლის დროს უპატრონოდ და უმეთვალყუროდ რჩებიან. ამ თავ-შესაფარში სრულიად უსუსურ ბავშვებს ძიძები ჰყავთ მიჩენილი, ხოლო უფრო მოზრდილ ბავშვებს წერა-კითხვას ასწავლიან და ადვილ ხელობაში სწვრთნიან. ამასთანავე ამ თავ-შესაფარის გამგებელნი უსაქმოდ დარჩენილ მუშათ სამუშაოს ულოვნიდნენ და მანამ სამუშაოს უშოვნიდნენ ბინასა და საზრდოს აძლევენ. ბიუროს დირექტორად პროფესორი ეტინგენია. ამ ხანად გარდაცვლილმა პროფესორი ბულმერინგი და ამ საზოგადოებას 1,000 მანეთი უანდერძა.

— რიგას მაზრის ერთს სოფელში ერთის გლეხის ქონება სრულიად გაიწვა და გადაჰბუგა. ოჯახის მამა გამოტყდა, რომ ამ უბედურების მიზეზი მე ვარო. მე მოვახერხე ისე საქმე, რომ ყველაფერი დაიწვა და გაენადგურდა. ეს ქონება ჩემი ოფლითა და შრომით მონაგარი იყო და, ვგონებ, უფლებაც მქონდა ჩემს ნაოფლარს ისე მოვქცეოდი, როგორც მინდოდა. ამ რამდენისამე წლის წინად ჩემის უძლურებისა და მოხუცებულობის გამო გამგებლობა ოჯახისა შვილს გადავეცი. ჩემი ქონება თანდათან დიდდებოდა, ბევრდებოდა და იმის მაგიერად, რომ უკანასკნელი დღენი ჩემი მოხუცებულობისა კარგის მოვლით დამტკბარიყო, მე ვხედავდი, რომ ცუდად მეპყრობოდნენ, ოჯახში რაგინდრად მთვლიდნენ. ამის გამო იძულებული გავხდი ცოლი შემერთო და მომვლელი გამეჩინა, მაგრამ შვილმა ჩემის აყრებელ ქონებიდამ არაფერი მიწილადა. ამ გარემოებამ მაიძულა, რომ ჩემი მონაგები მეცე გამენადგურებინა და სრულიადაც არ ვნანობ ამას. ხომ მოგეხსენებათ, ნათქვამია: „ჩემი ურგები შეჭამადი ძაღლსაო და ქოთანი ქვასაო“. თუ რომ მე ასეთი ხელ-მოჭერილი და ძუნწი შვილი არ მყოლოდა და ჩემთვის ყურადღება მიექცია, რასაკვირველია, ამ სისაძაგლეს არ ჩავიდენდიო. ეხლაკი დარწმუნებული ვარ, რომ ძლიერ კარგად მოვიქეციო.

◆◆

## წვრილი ამბები

მიუნხენის გაზეთი „Express“-ი თავადის ბისმარკის შესახებ შემდეგს საყურადღებო ცნობას მოგვითხრობს. კორესპონდენტი ამ გაზეთისა ამბობს, რომ მეამ ხანად ბისმარკის ერთს უახლოესს მეგობართან ხანგრძლივი საუბარი მქონდა, რის მიხედვითაც შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ წევრნი ბისმარკის სახლობისა დიდად შეწუხებულნი არიან, რადგანაც ნაკანცლერალმა გაილაშქრა წინააღმდეგ ეხლანდელის კანცლერის კაპრივისა და იმპერატორის ვილჰელმისა. ბისმარკი ამ ომით იმდენად გატაცებულია, რომ შეიძლება იმისმა მოხუცებულობამ ამ გატაცებას ვერ გაუძლოს და ავადაც გახდესო. ამას გარდა ისიც საფიქრებელია, რომ ბისმარკი სამართალში მიეცეს და უმაღლესს სასამართლოში გასამართლებულ იქმნას. შვილი ნაკანცლერალისა ჰერბერტი ძალიან სწუხს, რომ იმისი მამა ამ ლაშქრობაში იარაღად ხმარობს - განებას სმარობას და მართებულებისა და ზრდილობის წესს უგულებდა. საგარეო დეპარტამენტის სტატს-სეკრეტარად ნამყოფი ჰერბერტ ბისმარკზე ნაკლებ არ არის შეწუხებული თურმე, რომ ეს ოდესმე მთელს ევროპაში დიდის სახელისა და გავლენის მქონე კაცი ეხლა იმდენად დაწვრილდა და დასუსტდა, რომ მხოლოდ პოლემიკური წერილების წერას ანდომებს თავის ძალ-ღონეს. ჰერბერტი ამ ჟამად, რომ არ გამხდარიყო ამ უსიამოვნო გარემოებათა მოწამე, იტალიასა და ეგვიპტეში წავიდა სამოგზაუროდ.

◆◆

## დეპეშა

14 თებერვალი

პეტერბურგი. ამ 1891 წელს კავკასიაში ცხრა ადგილას გამოფენა იქნება გამართული ერთის წლის ულაყის კვიცებისა. პრემიებად დანიშნულია: 900 მ. ფულად, ცხრა ვერცხლისა და ცხრა ბრინჯაოს მედალი და ცხრაც მოწონების ფურცელი.

გუშინ პრინც ჰენრიხ ორლეანელი საზღვარ გარედ წავიდა.

ვაზის რქისაგან შექმნილი და უბრძანა: „წარვედ ივერიის მხარესა და ჰქადაგე სახარება, მე ვიქმნები შენი მფარველი.“ როდესაც გამოეღვიძა და ხელში საკვირველი ჯვარი დაინახა, წმიდა ნინა ცრემლ-მორეული ემთხვია და შეჰკრა თავის თმებით. და აი მე-IV საუკ. დამდეგს, სასანიდების დინასტიის დამფუძნებელის მეფე მირიანის დროს, წმ. ნინა მოიწევის უცნობის მდინარის მტკვრის სათავეში, მისდევს მდინარეს ხეობას, მოაღწევს მცხეთამდე არმაზის დღესასწაულობის დღეს. მაღალ მთაზე იდგა უშველებელი კერპი ოქროსი ბჭყვინვარე და მოელვარე; ორი კერპი აქეთ-იქით უდგნენ ცეცხლის მფრქვეველნი, როგორც გარდმოცემა გვიამბობს, ყველასათვის, ვინც-კი მოგვების მიკარებას გაჰბედავდა. გრიალებდა ბუკი, იკმევოდა გუნდრუკი, იღვრებოდა მსხვერპლად შესაწირავ საკლავთა სისხლი. მეფე მირიანი მთელის ხალხით პირქვე ემხობოდა წინაშე კერპებისა და მხოლოდ ერთმა ყველასაგან უცნობმა ქალმა არ მოიდრიკა მუხლი. უცებ, მოწმენდილ ცაზე, დაიგრგვინა საშინელმა ქარიშხალმა ელვა-ჭექით; საკერპო ინგრეოდა და მის ნანგრევებს ქვეშ მოჰქონდნენ კერპებს ნამტვრევ-ნალეწები. ელდაცემული ხალხი გაიქცა ვინ საით მოასწრო და ნანგრევებზედ მხოლოდ წინალა დარჩა, დამშვიდებით მზირალი მის გარემო აღძრულ და ჩამდგარ სტიქიონთა ქარტეხილისა. ეს მოხდა 6-ს აგვისტოს, და დღე უფლის ფერის ცვალებისა ივერიისათვის შეიქმნა დღედ, შემცვლელად კერპთ თაყვანის მცემლობის სიბნელისა ქრისტიანობის ჭეშმარიტების ნათლად. ამ დღიდგან იწყება წმ. ნინას მოღვაწეობისა და სასწაულთა ამბები, ეს ამბები ახლოვს ადგილობრივ გარდამოცემას და აღწერილია მეფემემატიანისაგან. მეფის ბაღში, საიდუმლოებით მოცულს კვიპაროზთან, რომლითაც დაფარული იყო კვართი უფლისა, წმ. ნინა ხშირად ლოცულობდა და იქ ჰხედავდა სასწაულებსა. ერთხელ მთელი გუნდი შავი ფრინველებისა, არაგვში ბანების შემდეგ თოვლივით განსპეტაკდა. ჩამოსხდნენ კვიპაროზის ტოტებზედ და დაამშვენეს მთელი ბაღი სამოთხის გალობით,—ეს იყო ნიშანი მომასწავებელი ივერიელთა ნათლისღებისა. მეორედ ესიზმრა, რომ ვითომ დაიქცა და დაინგრა მთები გარემო არმაზისა და ზაღენისა და თან ჩაიტანა კერპებიც; მოისმა ქრიჰმული ომისა დევება ეშმაკთა ჯარისა სპარსთა მეომართა სახით, რომელნიც ესეოდნენ საქართველოს დედა ქალაქს, და საშინელი ხმა მათის მეფისა, მბრძანებელი ყოველთა აღწყვეტისა. განცვიფრებულმა ხილვით, წმ. ნინამ გამოისახა პირჯვარი, აღამაღლა ნიში ჯვარისა და ჩუმად წარმოსთქვა: „დასრულდა მეუფება თქვენი, აჰა მძლეველი თქვენი“—და ყოველივე განქარდა. წმ. ნინამ განკურნა მეუღლე მეფე მირიანისა, მდებარე მომაკვდავი ცხედარზედ, და ერთი მონათესავე სპარსთა მეფისა, მირიანთან მყოფი და ავად შექმნილი; ორივემ პირველად იწამეს ქრისტე და ნათელი იღეს თვით მეფე-კი მერყეობაში იყო. მაგრამ ერთხელ სანადიროდ მყოფს მეფეს ახლო მდებარე მთებში მოასწრო ქარიშხალმა და უცებ დაბრმავდა. ზარ-დაცემულმა მირიანმა დაიჩოქა და ღაღადჰყო: „შენ ხარ ღმერთი ღმერთთა, უფალი მეუფებელთა ზედა, ღმერთო ნინასო“ და იმავე წამს თვალთ აღეხილა. ეს სასწაულებრივი შემთხვევა გაიგეს თუ არა, მთელი სამეფო სახლეული და მცხეთელნი გამოვიდნენ მიგებებად მეფისა. „აღიდეთ ღმერთი ნინასი, ღმერთი საუკუნოა“! ეუბნებოდა მირიანი ერსა, და წინად სასახლეში მისვლისა, ინახულა ქოხი წმ. ნინასი, დაემხო პირქვე წინაშე ცხოველს-მყოფელის ჯვარის ნიშისა და აღიარა ქრისტე. ნინამ გამოსახა ჯვარი მტკვარსა და არაგვზედ და მათში ნათელ იღეს მეფემა და ქართველთა ერმა. ერთმა ელიაზარის შთამომავალთაგანმა, რომელთა შორის დახსომებული იყო ჯერ ისევ გარდმოცემა კვართისათვის უფლისა, უჩვენა ადგილი, სადაც იყო კვართი დაცული. საიდუმლოებით მობურული კვიპაროზი მოსჭრეს და მის ადგილზედ აღშენებულ იქმნა საპატრიარქო ტაძარი, სადაც დადებულ იქმნა წმ. სამოსი.

ქართლში რომ დაამკვიდრა ქრისტიანობა, წმ. ნინა ჩავიდა კახეთში. იქ, 35 წლის მოციქულებრივის მოღვაწეობის შემდეგ აღსრულდა, მახლობლად ეხლანდელის სიღნაღისა. მეფესა და ეპისკოპოსს უნდოდათ წმ. ნინას გვამი მოესვენებინათ მცხეთის სამღვდელთ-მთავრო ტაძარში, სადაც განსვენებულს მეტად უყვარდა კვართსა ზედა უფლისასა ღაღადება ლოცვა-ვედრებისა. მაშინ მოხდა ახალი სასწაული. ვერას გზით ვერ შეიძლეს დაძვრა მიცვალებულის გვამისა იმ ადგილიდამ, რომელიც მან აღირჩია თავის განსასვენებლად. ქართლისათვის მრავალი ილვაწა და თავის ყოფნით თითქოს უნდოდა ახლად გაქრისტიანებულის კახეთის სრულიად მოქცევა ქრისტიანობაზედ. მეფე მირიანმა აღაშენა აქ პირველი ეკკლესია წმ. გიორგის სახელზედ, რომლის საჰხროში დაასვენა ნაწილი წმიდა მქადაგებელისა. შემდეგში ამა სასაფლაო ეკკლესიასთან დაწესებულ იქმნა ბოდბის სამიტროპოლიტო ტახტი, უხუცესი მთელს კახეთში, და აქედან გავრცელდა სახარების ქადაგება კავკასიის მთებში. წმ. ნინას ცხოვრება პირველად აღწერა იმ დროინდელმა ისტორიკოსმა რუფინმა, რომელმაც წმ. ნინას შესახები მოთხრობა მოისმინა საქართველოს ბატონიშვილის, მირიანის ძის ბაკურისაგან. ამ ბაკურს დაწვრილებით თურმე ახსოვდა წმ. ნინას შესახები ცნობანი, მამასაგან და მის მახლობელთაგან მოთხრობილნი.

პ. ცხვილოელი

(შემდეგი იქნება)

გაზეთებს გაუგონია, რომ ამ დღეებში დაბოლოვებით გადაწყდა რკინის-გზის გაყვანის საქმე ტაშკენტიდამ სამარყანამდე; ხოლო „Нов. Вр.“ სარწმუნო წყაროებიდამ გაუგია, რომ მინისტრთა კომიტეტმა გზათა მინისტრის პროექტისამებრ გადასწყვიტა, ეხლავე შეუდგნენ ზლატაუსტიდამ ჩელიაბამდე გზის გაკეთებას. ეხლა-კი დაუყოვნებლივ უნდა გაკეთდეს უსურის გზა და შემდეგ გამოიკვლიონ, თუ რომელ ადგილებში გაიყვანონ გზა ჩელიაბიდამ ტომსკამდე ციმბირის გზა გაკეთდება ხაზინის ხარჯით. ჩელიაბამდე გზის გაკეთება მინდობილი აქვს ინჟენერ მიხაილოვსკის, უსურიისა-კი ინჟენერს ურსატს.

პარიჟი. დერულედი და იმისი მომხრენი წინააღმდეგნი არიან იმისი, რომ საფრანგეთის მხატვრებმა მონაწილეობა მიიღონ ბერლინის სამხატვრო გამოფენაში, ხოლო ბულანჟისტებმა დემონსტრაცია გამართეს იმ მიზეზით, რომ გერმანიის ქვრივი იმპერატრიცა რად მოვიდა პარიჟშიო.

ბერლინი. ჭლექის წამალი ლიბრე-ხის მიერ მოგონილი არის კანტარიდინ მჟავე მარილისა.

ლონდონი. ბრაზილიის ახალს რესპუბლიკაში აირჩიეს პრეზიდენტად ამავე რესპუბლიკის დიქტატორად ნამყოფი ფონსეკო. ფონსეკო ხმის მცირე უმეტესობით იქმნა ამორჩეული.

15 თებერვალი

პეტერბურგი. ბრძანება გამოვიდა, რომ რუსეთის ყველა რკინის გზებით პურის გადატანა შეიძლება ნახევარფასად,—ვიდრე აქამდის დადგენილი ტარიფებით იყო, მხოლოდ იმ პურისა, რომელიც ხალხს გამოსაკვებათ და სათესლად მიაქვთ შემდეგ გუბერნიებში, უფიმისა, ვიატკისა, ორენბურგისა, სამარისა, სარატოვისა, ყაზანისა, სიმბირსკისა, ნიჟეგოროდისა, სტავროპოლისა; თერგისა და ყუბნის მხარე, აგრეთვე ეკატერინოსლავსკის გუბერნიის ალექსანდროვსკისა და პავლოგრადის მაზრებში, ხარკოვის გუბერნიის—ზმიევსკისა, კუპინსკისა, იზიუმსკისა და სტარბელსკის მაზრებში, ტავრიჩესკის გუბერნიის—ევპატორიისა, პერეკოპისა, სიმფეროპოლისა და დნეპრესკის მაზრებში, და როსტოვისა და ტაგანროგისაში, დონის ყაზახების მხარეს. ამისათვის საჭიროა განსაკუთრებითი მოწმობა, რომელიც ადგილობრივმა საერო გამგეობამ და ყაზახების მართველობამ უნდა მისცეთ. ეს დამცირებული ტარიფები შემოღებულია დღევანდელის რიცხვიდამ და გაგრძელდება ამ წლის 1-ლ ენკენისთვემდე.

პეტერბურგის ბირჟა, 12 თებერვალი

| | მყიდველნი. | გამყიდველნი. | გაყიდულნი. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანეთიანი ოქრო . | 6 84 | 6 86 | — „ |
| ტამოჟნის კუპონები . . | 136¾ | 137¼ | — „ |
| მანეთიანი ვერცხლის ფული. . . . . | 1 06 | 1 08 | — „ |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მოგების ბილეთი . . . . | 236½ | — „ | 228 |
| —მეორისა . . . . | — „ | — „ | — „ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის ფურცელი . . . . . | 211½ | — „ | — „ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა . | — „ | — „ | — „ |
| ქუთაისის ბანკისა . . | — „ | — „ | — „ |
| ტფილისის საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა. . . | — „ | — „ | — „ |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსისკსა და კერჩში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, საზღვარ-გარეთ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-დამისას შორის გზით.

პარასკეობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ.

ფოთიდამ ბათუმში მოდის. სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მიასწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემსა.

შაბათობით დილის 9 საათზე და მიასწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკეობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ, ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდან და ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურიდან გადაწყვეტილს კადაზე გემები.

# განცხადებანი


## ა. როინაშვილი

ყიდულობს ყველა ნაირს მველებურს

ნივთებს

აგრეთვე მოიწვევს ხელოსანს ქალებს, რომელთაც შეუძლიათ მველებურის ხელოვნებით ოქრო-მკედით და აბრეშუმის მაფულობით კერვა ფარჩაზედ: ბუფთებისა, სუზნებისა, თასჩის ფარდებისა, და სხვა. უმორჩილესად ვთხოვთ მობრძანდნენ და მიიღონ საქმე კარგს ფასად ერევნის მოედანზე, ხარაზოვის სახლებში, როინაშვილის ფოტოგრაფიაში.

---

### გამოვიდა და იყიდება

„წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ და ქართველთა ამხანაგობის წიგნის მაღაზიაში:

## ბორკილი

დრამა ოთხს მოქმედებად

თხზულება

ა. ი. სუმბათაშვილისა

თარგმანი ა. შ. ახნაზაროვისა

დრამას წინ უძღვის მთარგმნელის წინასიტყვაობა, რომელშიაც მოთავსებულია ბიბლიოგრაფია თ. სუმბათაშვილის პიესებს შესახებ, და მოთხრობილია ავტორის მცირე ბიოგრაფია.

ფასი 40 კაპ.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას მოუვიდა მესამე და უკანასკნელი ნაწილი;

ქართული-რუსული

## ლექსიკონი

დ. ჩუბინაშვილისა

ფასი 2 მან.

რული ლექსიკონი, ე. ი. სამივე ნაწილი ერთად ღირს 8 მან.

---

„წერა-კითხვის საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში

მიიღო გასასყიდად ახალი წიგნები.

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| ხალხური ზღაპრები შეკრებილი აღნიაშვილის მიერ . | „ | 30 |
| ლექსები ნ. ბარათაშვილისა ახალი გამოცემა . . . | „ | 30 |
| რამდენიმე ლექსი ცახელისა. | „ | 15 |
| საქართველოს დიდი კალენდარი გ. გუნიასი 1891 წ. | „ | 40 |
| სახალხო ჯიბის კალენდარი მისივე . . . . . | „ | 10 |
| თხზულებანი გ. ერისთავისა მშვენიერს ყდაში ავტორის სურათით. . . . . | 2 | „ |
| ქართულ-რუსული ლექსიკონი დ. ჩუბინაშვილისა სამივე ნაწილი . . . . . | 8 | „ |
| ქართული ლექსიკონი შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . | 3 | „ |
| გზა ცხოვრებისა შედგენილი წმიდისა ალ. ლიგუორისაგან . . . . . . | 1 | „ |
| წინამძღვარი ზეცისა. . . | „ | 50 |
| წმიდათა ცხოვრება . . . | 1 | 20 |
| იგავნი ფილოსოფოს ეზოპისა . . . . . . . | „ | 40 |
| სიბრძნე კაცობრივი . . . | 1 | „ |
| ბრძენი კაცი . . . . . | „ | 30 |
| მოკლე სახელმძღვანელო ფრანგული ენისა, ყდით . . | „ | 50 |
| მოკლე ფრანგული გრამატიკა. | „ | 40 |
| მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლამდე. ყდით. . . . . | 1 | 20 |
| მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი, მოქალაქებრივი და ისტორიებრივი დამატებით ძველი გეოგრაფიისა . . | „ | 50 |
| მოკლე ქართული გრამმატიკა დამატებით გრამმატიკური და ლოღიკური ანალიზებისა . . . . . . | „ | 40 |
| მოკლე რეტორიკა, ანუ მჭევრმეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ-კაცისა. ყდით. . . . . | „ | 50 |
| მოკლე ფილოსოფია, ანუ სიბრძნის მოყვარეობა, რომელიც შეიცავს ფსიხოლოღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას და ზნეობას. ყდით . . | „ | 50 |
| წამება ლექსად თქმული ცხოვრება წმიდისა ესტატისა. ყდით . . . . . . | „ | 60 |
| ყვავილების კონა, ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. | „ | 50 |
| საქართველოს სამოთხე საბინინისა ოცდა შვიდი სურათით . . . . . . | 10 | „ |
| Книга Калилаh и Диманаh или сборникъ Басенъ извѣстныхъ подъ именемъ басенъ Бидпая, переводъ съ арабскаго М. О. Аттая и М. В. Рябинина, цѣна. . . | 3 | „ |
| Матеріалы для русской исторіи, С. Ал. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Сношенія Россіи съ Кавказомъ, С. А. Бѣлокурова . . . . . . | 3 | „ |
| Поѣздка старца Арсенія Суханова въ Грузію 1637—1640 гг. . . . | „ | 25 |

---

## ნათესობის სეტყვისაგან
### საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება

მ ო ს კ ო ვ ს.

მმართველობა ამ საზოგადოებისა აუწყებს ბ-ნთ პატრონებს ვენახებისა, ბაღებისა, თამბაქოსი, სვიისა და ბამბის პლანტაციებისას და სხ., რომ 1890 წლიდგან, საზოგადოების წესდების მე-30 და 33 §§ ის თანახმად, იგი დაიზღვევს ზემოხსენებულ მამულებს სეტყვისაგან და რომ მსურველთ შეუძლიათ მიჰმართონ საზოგადოების რწმუნებულთ ტფილისში ნ. ა. ალექსანდროვს-იუნიჩს და კავკავში—ვ. ა. სიდომონოვს.

თავისი სურვილი უნდა განაცხადონ განსაკუთრებულის ბლანკით. რომელიც დაუყოვნებლივ გაეგზავნებათ მოთხოვნისათანავე ზემოხსენებულ რწმუნებულთაგან. იმათგანვე შეუძლიათ შეიტყონ ყოველივე ცნობა ამ დაზღვევის შესახებ.

სეტყვისაგან საურთიერთო დამზღვეველი საზოგადოება.

მმართველი ვ. ა. ტარგონსკი

ტფილისელ რწმუნებულის ნ. ა. ალექსანდროვ-იუნიჩის ნახვა შეიძლება ყოველ დღე გაზ. „Нов. Обоз.“-ს კანტორაში, ნაშუადღევის 2—3 საათამდე. (2—1)

---

კერძო ექიმი

## პრეობრაჟენსკი

არჩენს ელექტრონითა: ფარადისებურ და გალვანისებურ ხელისა და ფეხის სიდამბლეს, ნერვების სნეულებას, ნერვების ქარსა და კონტრაქტურას (გაზაკის ნასკვს); არჩენს აგრეთვე სიდამბლისაგან ყრუდ, ბრმად და მუნჯად ჩავარდნილთა.

ამას გარდა სწამლობს დედათა სნეულებას და სიფილისს, ავადმყოფებს მიიღებს ყოველ დღე: დილით ცხრა საათიდგან 12 საათამდე და საღამოთი 7—8-მდე.

ადრესი: მიხეილისა და ელისაბედის ქუჩების შესახვევში, მიხეილის ქუჩით № 9 და ელისაბედის ქუჩით № 2, სახლი პოპოვისა, ვორონცოვის ნომრების პირდაპირ. (10—9)

---

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## ივერია

1891 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თთვით. . . | 10 მ.—კ. | 6 თთვით . . . | 6 მ.—კ. |
| 11 „ . . . | 9 „ 50 „ | 5 „ . . . | 5 „ 25 „ |
| 10 „ . . . | 8 „ 75 „ | 4 „ . . . | 4 „ 70 „ |
| 9 „ . . . | 8 „ — „ | 3 „ . . . | 3 „ 50 „ |
| 8 „ . . . | 7 „ 25 „ | 2 „ . . . | 2 „ 50 „ |
| 7 „ . . . | 6 „ 50 „ | 1 „ . . . | 1 „ 75 „ |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:

Тифлисъ, Въ редакцію газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისის გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადებანი მიიღებიან გაზეთის რედაქციაში.

ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:

ა) მეოთხე გვერდზედ თითოჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის გვალობაზედ, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები (კორრესპონდენციები) რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, არა საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა კისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ დღე, კვირა-უქმებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, თ. გრუზინსკისეულს სახლებში, № 21.


Тифлисъ, Дов. цен. 15-го Февраля 1891 г. Типографія Я. А. Мансвѣтова, на Лорисъ-Мелик. ул. домъ Мдивани. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.